


შედეგი:

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობასთან, რაც გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელთა მაღალი ხარისხით დაცვას.

ამასთან, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ეფექტური სისტემის არსებობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებასა და კომერციალიზაციას.



ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტები

სოფიო ფანჯიკიძე

ექსპერტი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარგში

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16

info@eugbc.net
www.eugbc.net

ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის **ინტელექტუალური საკუთრების დაცვას**, რომელსაც ეთმობა შეთანხმების მე-9 თავი (ინტელექტუალური საკუთრების უფლებები).

DCFTA ადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ადეკვატური და ეფექტიანი განხორციელების ვალდებულებას, რომლის ხელმომწერებიც არიან საქართველო და ევროკავშირი.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტები:

DCFTA-ში მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ის სავალდებულო სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორია, მათ შორის:

- საავტორო და მომიჯნავე უფლებები
- სასაქონლო ნიშნები
- გეოგრაფიული აღნიშვნები
- დიზაინი
- პატენტები

DCFTA ასევე არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების **აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურულ ნორმებს** და განსაზღვრავს ამ მიმართულებით **სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებებსა** და მათ მიერ განსახორციელებელ უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

DCFTA ასევე განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ **საბაჟო თანამშრომლობას** და **ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლას**.

საქართველოს მიერ შესასრულებელი ძირითადი ვალდებულებები:

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „**საქპატენტი**“ ფუნქციონირებს დასავლური სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. „საქპატენტი“ რეგისტრირდება სამრეწველო საკუთრების ყველა ობიექტი და აქვე ხდება საავტორო უფლებით დაცული ნაშრომების დეპონირება. საქართველოში ასევე ფუნქციონირებს **საავტორო უფლებათა ასოციაცია**, რომელიც ახორციელებს ავტორთა უფლებების დაცვასა და მონაწილეობას იღებს ამ უფლებების აღსრულებაში.

თუმცა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, DCFTA ითვალისწინებს საქართველოს მიერ შემდეგი ვალდებულებების შესრულებას:

▶ ცვლილებების შეტანას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლებიც ძირითადად შეეხება შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებების მოქმედების ვადის გაზრდას.

▶ ცვლილებების შეტანას „საქართველოს საპატენტო კანონში“, რომელთა მიხედვითაც სამედიცინო პროდუქტებისთვის, რომლებსაც ჩაუტარდა პედიატრიული კვლევები, (შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით) უნდა დადგინდეს დაცვის ვადის გაგრძელება; დამატებითი დაცვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა უნდა გავრცელდეს მცენარეთა დაცვის პროდუქტებზეც.

▶ ცვლილებები უნდა შევიდეს მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში იმისთვის, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო პროდუქტების ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობასა და გამოუყენებლობას გარკვეული ვადის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო პროდუქტებთან მიმართებაში, მონაცემთა დაცვის ვადა აითვლება ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე (ევროკავშირში ან საქართველოში) წამლის პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან.

▶ აღსრულების ნაწილში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამოქალაქო აღსრულების შეთანხმება დეტალურად ადგენს საპროცესო ნორმებს, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის კანონმდებლობაში.

▶ საქართველო უნდა მიუერთდეს ე.წ. დოჰას დეკლარაციით განსაზღვრულ TRIPS-ის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ) შეთანხმების ცვლილებას.